


# სიყვარული

№ 32-33  
 1933 წ. 5  
 თბილისი




ნახ. ნადარცხველია.

## „მელა და ყურძენი“

დამშეული კოდა მელა  
 ვენახისკენ იპარება;  
 რა ოინებს არ მიმართავს,  
 ლობე-ყორეს ეფარება.  
 მეგრამ ბალი მაღლარია,  
 თანაც უღვას მას მხნე მცველი;  
 მელია კი ბრაზზე მოდის  
 რომ ვერ ჩაისველა ყელი.  
 გული ამით გაიკეთა:  
 “გეფიცები შვილებსაო,  
 მკვებე იყო ის ყურძენი  
 და მომკვეთდა კბილებსაო.”





ვაზნარის რაიონი მოსავლიან რაიონად ითვლება, წინა და უხლო აქ ეწევიან მევენახეობას, მესაქონლეობას და ნაწილობრივ მეპოვებობასაც. ძველად ამ რაიონში ბატონობდა მსხვილი მემამულე, თავადი გოჯასპირ ლახვარაძე. დღეს მისი მამულის ნაწილი კოლექტივისათვის გადაუყვიათ, ნაწილი — საბჭოთა მეურნეობისათვის.

ვაზნარის ახლო-მახლო სოფლების გლეხობა წყველა-კრულვით იხსენიებს ძველ დროს, როცა გოჯასპირ ლახვარაძე „ცხრა ტკაველ“ ტყავს აძობდა მათ, თვითონ კი განცხრომაში ცხოვრობდა.

ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა ყოველნირად დახმარებას უწყის საბჭოთა მამულს. სამაგიეროდ, კულაეები, ყოფილი თავად-აზნაურები და ჩარჩ-ვაჭრები „კბილეს იღესავენ“ მის წინააღმდეგ.

რამდენიმეჯერ იყო შემთხვევა, როცა მათ განიზრახეს საბჭოთა მამულისათვის ცეცხლის წაქიდება, მაგრამ გლეხობის მეოხებით სისრულეში იქნა მოიყვანეს. კულაეებმა უფრო იძინეს მამულის გამგეზე, გლეხის შეიღზე სოსო ლარიბოვზე და ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

მისი სიკვდილის შემდეგ ვაზნარის საბჭოთა მამულის გამგეთ დაინიშნა ბესო ტიკინაძე, რომელმაც სულ სხვა ხაზი აიღო. გინემ ლარიბოვმა. ის ადგილობრივ ანტი-საბჭოთა ელემენტებთან „შენმატებლების“ პოზიციას დააღვა.

— რა საჭიროა ვინმე გათავისმტროვ. — ამბობდა ის თავისათვის. — ხომ შეიძლება ლარიბოვის ბიდი მიწიოს ადამიანი ვარ და არა პრასა, რომელსაც მოსჭირა და მიორი-ჯერ ამოვო. მიც ჩვიან კაცს მიძახან რომიოში? არც წვადი უნდა დავწვა, არც შემთყრო“.

ამ პოზიციას იცავდა ის უკანასკნელ წიგითამისი“. (არა სისხლის არამიდ ღვინის). ლახვარაძის ყოფილ სასახლეში, სადაც ტიკინაძემ შეიღო ოთახი დაიკავა, ხშირად მართებოდა ჩეიითი. რომილიც ზოგჯერ მთელი დღი რა დამე გრძელდებოდა.

— შეიარაღებინე თავად ლახვარაძის ჩეი-ღი და დროს ტარება თანამედროვე თავადის და მიმამულის ბისო ტიკინაძის ჩეითთან! — გულნატკენი იოზნებოდენ ადგილობრივი გლეხები ერთმანეთს.

რეფლისიდან ბისოს ხშირად ესტორიბო-დენ „საქმის ხალხი“, რომლებიც ვაზნარში ჩასვლას შიიჩიენ.

— რას იზამთ, ამხანაგო ბესო, ხომ გაი-გონათ: „შირიოლსა ნო შიარაიო. შიჩიოლსა ნო შიარაიო“. — ეს უმრებოდენ მას ზოგი-ერთი სტორიბო.

ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელ ნაწილს ტიკინაძე არ მოსწონდა.

— ლახვარაძესა და ტიკინაძეს შორის განსხვავებას ვერ ენახოლობთო. — იტყო-დენ ხოლმე ისინი. ანტი-საბჭოთა ელემენტები კი ტიკინაძის მიზან-მიზან ასხამდენ და მას „აქტორიტეტს“ იცავდენ.

— სად ლარიბოვი და სად ტიკინაძე — გაიძახოდენ ისინი. — ლარიბოვი მოთამ ჩინ გიგებოთო და ლარიბოვს ჩიენს წინააღ-მდეგ მოუწოდებოდა, ტიკინაძე კი განათლე-ბოლი კაცია, მან იკის. რომ ჩვენ კეთილ ცხოვრებას ვართ დაჩვიოლიო.

ისინი ბისოს საბჭოთა მამულის მიორნე-ბის „განვითარებაშიც“ ეხმარებოდენ.

ვაზნარის საბჭოთა მამულის შტატი მთლი-ანად იმართან შისიდაგობდა.

— რას იზამ, ამხანაგებო, სეციალისტები არიან, — უბასუხებდა ბესო იმათ, ვინც ლა-პარაქს ჩამოუტეოდენ მის შტატში კლასიუ-რი პრინციპის არ დაცვის შესახებ.

— თუ თამადობა, ლაქობა და საბჭოთა

მამულისათვის ზიანის მიყენება სეციალის-ტების საქმეა, მაშინ რაღა გვეთქმის. — მია-ხალა ერთხელ მას ლარიბოვა გლეხმა, როცა ტიკინაძემ ლაპარაკში დაცვა დაუწყო მის-თან ნომუსავე მავნე ელემენტებს.

ნათქვამია: კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო.

ბესო ტიკინაძის მოხსენებები და ინფორ-მაციები, რომელიც წარდგენილი თუ მოს-მენილი იყო ტრესტის მმართველობაში და რომლებშიაც ტიკინაძე ვაზნარის საბჭოთა მამულს საწინებლად სთვლიდა, ტრესტის მმართველმა საეკლეთ მიიჩნია და ვაზნარში აქაულის სასწრაფო რევიზია დანიშნა.

ბრიგადები თავს დაესხნენ ტიკინაძეს და მოსთხოვეს მას დაწერილებითი ცნობები მამულის მდგომარეობის შესახებ.

რევიზიამ და ბრიგადების მუშაობამ გა-

# ღაღადი ცხვრისა და ჭლიკისა

(ნახვლილთან სწორი)

საბჭოთა მეურნეობას „ოცდა რვა აპრილისა“ — განავეს ფატალიევი, ფარა რომ უდგას ცხვრისაო.

ორმოცდა ხუთი ათასი გარეკა ტახტა-ბაშასო, არც ადგილს ირგვლივ იცნობდა და არც ბალახის ბახასაო...

შვიდასი სული ბეკეა იმსხვებოდა ამა მიწაში, მაშინ-ღა ფატალიევიც ის უფარვისად იწმა.

და ბრძანა გარდუხვეველად: „განშორდი თამა „დაჩასო“, აპყარეთ ფარა, პირდაპირ გარეკეთ კარა-ხაჩასო!“...

მაგრამ არც კარა-ხაჩისა ესმოდა ავან-ჩავანი, ადგილი დარჩა დაბალი, ნესტიანი და მავანი...

ორი ათასი ბეკეა მას აქაც დაუზიანდა: დაკოჭლდა, დაავადდა, გაცლაც კი დაუდგვიანდა...

ბასარ-გაჩარის ებომა ის შეისყიდა ხორცად, რაღა თქმა უნდა, სულ მუქთად. იაფად ერთ-ოცად!

ჩუთა კი ფატალიევისა ასწავლა ვერცა ამანა, თუმცა-ღა კარა-ხაჩიდან ცხვარი მან მალე დამალა:

კობაზისავენ გარეკა, გზა ელო ისევ უკვლევი. ფეხით სვლა რომ გაუძეოდდათ, ცხვრები ხოხავდენ მუცლებით,

და სამიოდენ ათასი ცხვარი აკოჭლდა აქაცა... დაფასდა ფატალიევის ჰკრუაც, უნარიც, ჯადაცა...

დაფასდა მაგრამ რა გვარად? ისეთი თქვენი მტერია!.. არ დარდობს ფატალიევი: თითქოს აქ არაფერია!

მოარკვია მესოს პოლიტიკური გადასრები საბჭოთა მეურნეობაში: გამოორკვე — ისიც, რომ ტიკინაძე საბჭოთა მამულის ქონებას იყენებდა პირად კეთილცხოვრებისათვის.

— „გადახრაც“ სწორედ ეს არის. საბჭოთა მამულის ქონება მგვას შეუსანსლავს და გადაუხრავსო, — გულის ტკივილით ამბობდენ ვაზნარის გლეხები, როცა მათ ტიკინაძის შესახებ მოხსენება გაუყვითა ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარემ:

ბესო ტიკინაძეს, რომელიც მოხსნილია ვაზნარის საბჭოთა მამულთან და პასუხის-გებაშია მიცემული, როცა ასხენდება იქ ქეიდი და დროს ტარება, პირი ნერწყვიტი ეყვება და თავისთვის ამბობს:

— თავო ჩემო, ნუ თუ თავის დროზე ვერ მიხვდი: „შამფურს რომ უფრთხილ-დებოდი, წვადი დამეწებოდა“?

ჟუჟგარა.

კისლაველსკისკენ მოუტვა, ვით გადახვდებოდა ომისა, საბჭოთა მეურნეობის დიდ სასარგებლო შრომისა!..

თავსა სწევს, ვით შრომის გმირი, და წინ წაივლო მკერდიცა, რომ წესით მას დასვენება ერგება თვისა ერთისა!

დაბრუნდა მეურნეობა მას, ხომ ვერ დასთმობს საბჭოთა? კაცმა იმ ხელა ფარიდან იმდენი ცხვარიც გაჩოთაქ,

და წესი ითხოვეს, რომ დეაწლიც დაფასდეს მისი ასეთი! (დღემა მთლად მას მოუხდებოდა, ჩობანს არც მცირე ნაკვეთი!)

ჩვიდმეტი ჩანათა მიილო აგვისოტის თევში მიმულმა! ფატალიევის გულს ყინმა კვლავ დაუარა, მალულმა!

მას, ოგანეზოვს, ხალიოვს, შახნატიევის თუ სხვასაო ერგოთ სულ ეს „პრომტოვარი“, მამულს რომ ედგენ თავსაო!

აიღეს, გაიანწილეს მეთაურებმა სრულად!.. ჩანთები იმათ დაუჯდათ დიდათ არც იმდენ ფულადა!..

ჩობნებს კი ჩალაც ეყოფათ, პირს გამოსმული მკრელათა!.. (შსავს მეთაურებს ჩანათა არ, სჩანთე რბოლ ადგილს ცხელათა!)

და ვანა, მარტო ერთია ფაქტი ამ გამგის ხელისა? მიხედეთ ტრანსპორტს მამულის ან საკითხს წყლისა — სამეღისა!


ყველგან იგივე უთავო თავის აზრი და ბრძანება... აფსუს, საბჭოთა მამულში მსგავს გამგის გაჭეპნება!

თქვენს დასტურს ვუტყო, თორემ მე არც ახლა ვიტყვი ვარსაო: ეჩანთავ და გამოვადენებ მისგან დალუპულს ცხვარსაო!..

ცხვრის ჭლიკი.



# ჩვენი ღრვის მემამულე



როდესაც ჩვენ მოგვევლინა ქორფა სევა ამ ქვეყნათ ბატონ - ყმობა აღარ იყო უფლებებში თუმც იმ ხანათ, მაგრამ იმისი ნაშთები, შეკვეცილი ერთი - სამათ, მაინც კიდევ არსებობდნენ გლუხკაცობის გასაწამათ!

რა ფორმებში, — ამას უნდა ბევრისათვის ესლა ახსნა: ნაყმეც რომ ბატონისაგან ფულით თავი არ დაეხსნა, ამის გარეშე არ იყო მისთვის არავითარი ხსნა, მთელ მის ოჯახს მოელოდა განიავება და ვახრწნა!

ნაყმევის სისხლს მებატონე თითქმის ძველებურათ სევამდა,

სინდისის და ნამუსის მას რომ არაფერი სწამდა! ნაკვეთ მიწას სანახევრო სამუშაოდ რომ მისცემდა, თუ ბელელს არ გაუფესებდა თავში უმოწყალოდ სცემდა!

სევის მამამ მეფანისგან ძლივს იშოვა ფული სესხად; რა პირობით, — შეიძლება ასე ითქვას, — მამა სისხლად! დროზე თუ ვერ მიუტანდა მევალეს ის აშ ფულს სულ მთლად,

ნამთავნი გადახდებოდა თავნზე იმას ერთი ხუთად.

მამამ შვილი გაისტუმრა ქალაქს, — ფულის საშუა- რად.

სევას სოფლის დატოვება იმ ხანებში უჩნდა არად. იქ დარჩენილს უქადოდა აღზრდა სრულად უმეცარად, რადგან სოფლის ვითარება სავალალო იყო სწორედ.

ქალაქში სევა მუშების მოწინავე წრეში მოხვდა.

როცა ფაბრიკა - ქარხნებში დიდი გაფიცვები მოხდა, რამდენიმე შტრიკებზედ სევასაგან თავში მოხიდა, რისთვისაც ციხე - ციმიბირში სული კინალამ ამოხდა!

ხანგრძლივი უსაქმურობა მისთვის ტანჯვად გადაიქ- ცა.

ბოლოს ველარ მოითმინა, — ციმიბირიდან გამოიქცა.

ბევრი ვაჭირვება ნახა, გზაში კინალამ წაიქცა.

სამშობლოში რომ დაბრუნდა, — მოწმენდილი ნახა იქ ცა!

ერთი დაკვრით ხალხს დაემხო სულმხუთავი მეტერი ძველი,

მაგრამ მას მოვლინებოდა ვინმე მაცდური დამცველი, ვისაც სურდა გაეხსნა. ხალხი კვლავ ფური საწველი- სევამ ეს რომ დაინახა, მას მოედო ცეცხლი მწველი.

წინანდელი ენერგიით სევამ ბრძოლა გააჩაღა:

„ხაზეინს“ თუ არ ინდობდა, რატომ დაეზოგა „აღა“? ჩემის ქუსლი თუ მწარეა, იმას რით სჯობს აბა წაღა? შინაური და გარეშე ეშმაკს წაუღია, რაღა!

ცხარე ბრძოლების შედეგად გამარჯვება იყო ბოლოს. ნოესაც ის დღე დაადგა, რაც წინეთ მეფე ნიკოლოზს! (აქ ადგილი ჰქონდა „ტრიოს“ \*. იქ კი მხოლოდ მარტი „სილოზ“ \*\*).

ვისაც კი სურს, — მოგონებით თვალი ცრემლით დაისო- ლოს!

ამ ბრძოლაში სევამ თავი ვაჟკაცურათ ისახელა! ხალხის მეტერი არ დაინდო, სადაც კვალი მიახელა, მან ყოყმანი არ დაიწყო, — არც აცივა, არც აცხელა, — სამოთხეში მიაბრძანა, — საცხოვნებლათ, აღბათ, ყველა!

სამოქალაქო ბრძოლების ქარიშხალი როცა ჩადგა, სოფელ - ქალაქის შენება გაფაციცებით გაჩაღდა. არ იფიქროთ, თითქოს სევამ შეისვენა, განზე გადა! საბჭოების მამულეების სტრესტის გამგეთ იგი დადგა.

ჩვენი ღრვის მემამულე არის თუმცა ესლა სევა, მაგრამ ძველი თავადივით მასაც გარშემო ეხვევა უსაქმურ მუქთამჭამელი ხალხის უთვალავი ხროვა. ამიტომ მსურს მეგობრულათ მე მას ერთი რამე ვსთხო- ვო:

ჩემი ჩანგლით აღჭურვილი მამულეებში მან შემიშვას. მე იქ არაფერს წავახდენ, — ამაში ეჭვი არ ეშვას! მხოლოდ იმას გამოვარკვევ, — ჭარბად ღვინო! აქ ვის უსვამს,

ბატკნებისა და სუკების შამფურებზე მწვადი უწვავს! ისე არ დავწვრილმანდები, რომ დავიწყო იმის ქექა, თუ ვინმე თანამშრომელმა ქექა ღვინო მეტი შესვა! იმათაც არ შევეხები, ვინც ღირსია, იქნებ, ამის, — ხშირათ უყვართ იქ შეველა და გათენება თუნდაც ღამის! ყველაზე წინ უნდა ვნახო, რა თქმა უნდა, წინანდა- ლი,

სადაც დღემდე დარჩენილა ჩვეულება წინანდელი! სხვა დანარჩენ მამულეებსაც გადავავლო უნდა თვალი, რომ პირნათლად მოვიხადო ნაკისრები ჩემგნით ვალი.

მუხრანის შენ არ გეკუთვნის, — დანამდვილებით ეს ვიცი. ამდენხანს ვერ დაეუფლე, — შენი ცოდვით მითომ ვიწვი!

მიკვირს, როგორ დაადუნე ხასიათი შენი მტკიცე: ასე ცუოთათ რაც იქა ძევს, რატომ ხელი მას ვერ სტაცე? შამპანური მიმიზიდავს, რა თქმა უნდა, ვარციხეში- იქ საკბილო მასალები, გიხაროდეთ, ვიგდო ხელში! მე დევნა არ მომიხდება, — თითონ გაემბიან ქსელში. ისეთი დღე დავათენო, ვერც კი გაიმართონ წელში!

ერთი ხილვით რომ მომხიბლა და შეიქმნა საყვარელი, თქმა არ უნდა შენ მიხედვები, რომ იქნება ეს ყვარელი, საფერავის დანაწურით ჩამიტკბია სადაც ყელი;

ამ ვაზის გასავრცელებლათ უნდა დახნა ფართე ველი. რაც მისი გემო ვიხილე, — გულახდილათ მე შენ

გატყვი, რამდენიც მომაგონდება, მომადგება პირში ნერწყვი! აამ წელს შემდეგ გვესტუმრო, — გახსოვს, ასე მაშინ შენ სთქვი.

მე ეს არ დამავიწყდება, — წლებს კი არა — თვეებ- საც ვთვლი!

სხვა დანარჩენ მამულეებსაც მსურდა ბარემ რომ ვწვეოდი, მაგრამ ზამთარმა მომისწრო, დავბრკოლდი, ველარ წა- ვედი.

ეტყობა, რომ ამ საქმეში არც იმდენათ მწყალობს ბედი! ნაიანგკორებს მოვიშველებ იქ, სადაც მე ვერ მივსწვდე- ბი...

იმედი ნაქვს, რომ ისინი შესაფერათ მათ მისცებენ, თუ კი სადმე მამულეებში მუქთახორებს მისაწრებენ! სადაც სურდეთ, — იქ წავიდენ, რითაც უნდათ, — იარ- სებონ, მხოლოდ საბჭოთა მამულეებს ჩქარა თავი მიანებონ!...

3

\*) სამეფულს.  
\*\*) ერთეულს.



# მარცხის საგზოთა მუხრნეობაში

ჩვენი ბრიგადა დასავლეთ საქართველოდან დაბრუნებისთანავე ეახლა ამხ. ნიანგს რედაქციაში და მოახსენა:

— მივდივართ ვარციხისაკენ რიონიდან ბაღდათის გზით.

მივადექით ბორანს მდინარე ყვირილაზე. ქიათურის ქვანახშირის მელანივით შეუღებავს ოჯი.

— შავია და გულიც შავი აქვს,—ამბობს სოფელელი,—გაფიქრებდა ეს ოხერი და აოარაფერს ინდობს, მოსწყვეტს შიგლ რაიონს ქუთაისისაკენ.

ბორანით გადმოაქვთ მგზავრებიანი ავტო. საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებს ავტო, სადღა მისი სისწრაფე და მეტოქეობა სივრცესთან. შოფერიც დარცხვინილი ზის ავტოში თავის ალაგას. ბორანი ზღაპრებით სცილდება ნაპირს და თითქოს დასცინის ავტოსო, მერაგ ნაპირს არ აღგება. გრძილი სარით (ბიძგი) როგორც იქნა მიადგა ნაპირს. ავტო გადმოსრილადა, ავტოგუნდა და მოკვტურცხლა ქუთაისისაკენ.

დიდხანს აღარ უწყერია ბორანს არსებობა. იქვე უკვე დაწყებულია კაპიტალური ხიდის მგება. მოზიდულია მასალები და უამ-

რავი მუშა-ხელი მუშაობს. ყვირილა მალე მოიხრის ქელს.

## მუხრნეობაში

ეს მამული წინედ ანანოვს ეკუთვნოდა. დღესაც ბევრს ახსოვს მისი „კეთილი საქმენი“. მას ჰყავდა ასაძღე დაქირავებული ჩაფარი, რომლებიც იქვე ცხოვრობდნენ და იცავდნენ ანანოვს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ანანოვი მათ თვალწინე გაიტაცეს და კაი ბლომა ფული (ჩამდინიმე ათეული ათასი მანეთი) დააძერეს. ეს ის ანანოვია, რომლის ოჭროებმა მოისყიდეს მეფის ინვენტარები და რკ. გზის მთავარი ხაზი, თავის მამულთან ახლოს გაელის მიზნით, ქუთაისს ააქცინა.

ეს იყო წინედ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რაც მოუვიდოდა ანანოვს, ეს ყველასათვის აშკარაა—დღეს ეს მამული გაერთიანებულია საქართველოს საბჭოთა მამულების ტრესტში. იგი ხალხს ეკუთვნის და ხალხი განაგებს. დირექტორად არის გლეხი, ადგილობრივი მუშაკი მიქაბერიძე.

როგორც ყველგან, აქაც ბევრი გაუკეთება საბჭოთა ხელისუფლებას. გადიდებუ-

ლია ენახის ფართობი, აგებულია ახალი საწყობები.

აქ მზადდება უმთავრესად საქსპორტო სასმელები: შამპანიური, ბექქმესი (ახალი მღწევა საბჭოთა მეღვინეობისა), კონიაკი და მხვადასევა ღვინოები.

მამულს ჰქონია გარღვევები. მაგრამ ამაჟამად მიღებულია ყოველგვარი ზომები ფინანსების შესასრულებლად.

— ეს ყველაფერი კარგი,—გვითხრა ნიანგმა,—მაგრამ სადღაა საქმენი სასაცილონი, როკლები ჩვენ გვიანტერესებს. გვიამბე იუმორისტულად.—გავაფერთხილა ნიანგმა.


— თუხარი რაც დავიღარაბა გადაგვხდა გზაში, რიონის სადგურში რომ ტყავი გავგაცდრეს ბუფეტში და... მაგრამ ამხ. ნიანგმა შეაჩერა ამხ. დონი (ბრიგადაში მე და დონი ციყავით):

— მხოლოდ მამულებს შესახებ და არა ბუფეტ-რესტორანებისა.

— მამულების შესახებ... კი, როგორ არა. მაგ. ვარციხის მამულში თურმე ერთი მუშაკი მუშებს თავისი საქმისათვის ამუშავებდა და ფულს მამულიდან უწყერდა. საწყობიდან არ მახსოვს მისი ვინაობა.


— როგორ თუ არ ვახსოვს.—ჩამოგვერია დონი,—ეს არის ამხანაურის განყ. გამეკ კოსტია საჩქავი.

— სწორედ ის არის, ის.—მომაგონდა მეც



ის ვეფუქრება... ჩვენც ვეფუქრებით დავადგათ ზურგზე ქვა-რკინის კენი,

რომ ვერ გადმოსდგას თავის ნამქრებით კალაპოტიდან ნაპირზე ფეხი.



საწყობში დავინახეთ, რომ ვიღაც ბოქაშ-გადაშვებულიყო თავით.

— უშველეთ, თავს იხრჩობს.—შევსძახეთ ჩვენ, მაგრამ დაგვამშვიდეს:

— ნუ ვეშინიათ, თავს კი არ იხრჩობს, ლოთი-შფოთი კაცია, ღვინო უყვარს... ეს „სპეცი“ ბერიძეა, ინსტრუქტორი ცენტრიდან.—გვითხრეს თანზღებლებმა.

მართლაც, კოტა ხნის შემდეგ, ბერიძემ კატეგორიულად შოითხოვა კედლის გაზეთის ჩამოხევა, ვინაიდან შიგ მზილებული იყო მისი კაი ბიჭობა.

— ეს რა არის.—გვითხეთ, როცა რაღაც აპარატი დავინახეთ უმოძრაოდ მდგარი და მოუწყობელი.

— ეს არის „ვაკუმ-აპარატი“, მოვიტანეთ გერმანიიდან, მაგრამ ტრესტის ინვენტარებმა ვერ დადგეს და ვერ ამუშავეს. ცენტრი კი ჯერჯერობით სღუმს.

— ეს უკანონობაა და, თუ გნებავთ, ბოროტობაა.—ბრაზობდნენ მუშები. გავიგეთ ამბავი: ხელფასის განსხვავება შო-საქაშურებზე მიეღოთ იანვრიდან, ხოლო მუშებს — აპრილიდან.

— ამხანაგებო, გამოვასწორებთ ამ ნაკლსაც.—უტუნებოდა მუშებს ახლახან არჩეული უჯრედის ახალი მდივანი ამხ. რამიშვილი.

ჩვენც ვოსურვეთ ამხანაგებს ყველა სხვა ნაკლის გამოასწორება და გამოგვეშვიდობეთ.

## ღვინის ეპოპეია

სმა ტყბილის წვენის, ქება მეობის, თუნდაც პორთფელი არ გქონდეს ხელში, თუ რაიმე გესმის მეღვინეობის და იმას ხშირად უძახებ ყელში,— იშოვი აღვიოს საშენო ნამდვილს ან „საქღვინოში“ ან კიდევ „ტრესტში“. იყო ასეთი ტიპი ვანი, მე კაცი სალი ამიყვანია,— მაგრამ რა ნახა, ძალა ბალისა, თავისი თავი დააძრახისა, ჩუმად მოედვა ლიტრებს და ბოკებს,

დაიწყო აღრე ბეჭებში მოხერა გულის სიღრმიდან ხველა და ოხრა ფიქრობდა: დავლევ, არაფერია, მაგრამ რას ხედავს! თქვენი მტერია. ჯანღონით სავსე ზეზეურ ვახდა ახალგაზრდობაც იმისი წახდა. იგორ თვალები გადმოაბრუჟა სახეზე კიდევ დააჩნდა დალი და უცაბედით საწოლში სტკუცა ვანამ თავის თავი ჯანსაღი.

ს. ძნელოლი

ზმუი.



# წინანდლის და ნაფარეულის მეურნეობაში

კახების გენერალური შტაბი, ყურძნის სამეფო, ღვინის საგუბარი, ღვინის ევროპიული ქარხანა, სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მძლავრი რგოლი—წინანდლია. ჩვენ უკვე მამულში ვართ.

— ბრიგადა! ბრიგადა! ბრიგადა!—გაისმა ხმა. ნიანგი! ნიანგი!—დაიძახა პატარა ბაჭმა, რომელიც მუშკომის ოთახიდან გამოვარდა და სადღაც გაიქცა.

ნიანგი ვენახებს ათვალეირებს. ჩვენ, მასი ბრიგადელები, დავებებთ მუშკომის თევზგაღმარეს, უჯრედის მდივანს. არც ერთი სჩანს და არც მცოროვ. ვუცდით. ვეძებთ საკბილოს.

— ხი, ხი, ხი,—მოგვეცხა ხმა. მივიხედეთ: ნიანგი კითხულობს კედლის გაზეთს, რომელსაც ეწოდება „მუშის ხმა“. ალბად ის გაუხარდა, რომ გაზეთის ერთ კუთხეში მიკრულია უურნალ ნიანგიდან ამოხეული კარიკატურა ღორების შესახებ.—ვიფიქრეთ და გვერდში ამოუდექით. კედლის გაზეთი შეიცავდა ალ სამ სვეტს და სამივე სვეტზე ეკავა მუშკომის საინჟინერო მოხსენებას, რომსენება უზომო კმაყოფილებით იწონებდა მუშკომის საქმიანობას ყველა დარგში, მხოლოდ ერთ ადგილს იყო ნაჩვენები მუშკომის სუბტი მზარე. ეს იყო საკლუბო მუშაობა. წაიკითხეთ ბიჭებო, გვეითხა ნიანგმა და თითი დაადო სწორედ იმ ადგილს: „საკლუბო მუშაობა მოისუსტებს, ვინაიდან კლუბი არა გვაქვს“.—ეწერა მუშკომის მოხსენებაში.

ჩვენც ვიცინეთ. თუ კლუბი არ აქვს, საკლუბო მუშაობას ცოტა „ნაკლი“ ალბად ექნება,—სიტყვა ნიანგმა, და გასწია პირდაპირ დირექტორისაკენ.

ჩვენ დიღბანს ვუცადეთ მუშკომის წარმომადგენელს, უჯრედის მდივანს, რამდენიმე კაცი გაგვზავნეთ მათ საძებნელად, მაგრამ ვერაღ ვერ აღმოვაჩინეთ. იგაფუშვია განცხადება კედლის გაზეთში მათი დავარების შესახებ და ჩვენც შევედით დირექტორთან.

— მოხენის გეგმის შესრულებაშიც სეტყვა ვაშინებთ?

— არა, აქ უფრო გვაშინებს ცენტრია უყურადღებობა... ამოდენა საქმე გვაქვს, ამოდენა გეგმის შესრულებას მოვკიდეთ ხელი და ჯერ ერთი ტრაქტორიც კი არ გვაიჩირსეს. ხუთი ტრაქტორი მიინიშნება გეგმის შესასრულებლად.

— თქვენ არც ერთი ტრაქტორი არ გაქვთ. აბა, ბიჭებო, დავცხოვთ განგაში!—დაიძახა ნიანგმა.


— განგაში! განგაში! აუცილებელია.—გავიმეორეთ ჩვენ. ხუთი ტრაქტორი დაუყოვნებლივ გადავზავნოს წინანდლის საბჭოთა მეურნეობას,—ბრძანა ნიანგმა.

საუბრის დამთავრების შემდეგ ჩვენ მიგვიწვიეს ჭარხის დასათვალეირებლად, ღვინის თავბრუდამხვევი სუნი გაუღმართილი იყო ყველაფერი. საამერო სუნი ჰქონდა, გემო კი არ გვინახავს, რითაც ერთ ერთი ჩვენთაგანი გულდაწყვეტილი დარბა, ღვინის ხასიათიც კი გაუფუჭდა, მაგრამ მუსი ხასიათი გამოავსოვრეთ თელავში დაბრუნების შემდეგ სასკვების სასადილოში. ჭარხის მოწყობილობა უსათუოდ ზედმიწევნით სინტერესოა. დატულია იშვიათი სასუფთავე, ქარხანა მიდის მექანიზაციის გზით და მალე ტენიკის უკანასკნელ სიტყვას გაუტოლდება.

ნიანგმა მოისურვა მუშების სასადილოს მოულოდნელი რევიზია. სასადილოს გამგე ჩოთქს აჩნაკუნებდა, როცა ნიანგი უკახა კარებიდან შევიდა სამზარეულოში. სასადილოში თავგებდა ჩარლსტონს თამაშობდნენ თევზებზე...

კასაშენებლად გვიცდება ტრაქტორების უქონლობის გამო.

— განგაში! განგაში!.. სასწრაფოდ შეგვევლოთ ტრაქტორები ნაფარეულს.




— აქ, ამხანაგებო, ძალიან ცუდი მდგომარეობაა,—გვეუბნება უჯრედის მდივანი შეგუთნიშვილი.—150-დე მუშა მოცლებულია ყოველგვარ ყურადღებას... სასადილო გვაქვს, რომელსაც მზარეული არ ჰყავს. ვისაც უფრო მეტად მომივიდება, ის აკეთებს საქმელს. საქმელს ნუ იკითხავთ,—წყალოში რამე-რამეს აურევინ და გათავდა. სასადილოში არ არის არც კიჭა, არც გრადინი. მუშებს არ აქვთ სპეცტან-საცმელები. არ არის აბანო. კულტმუშაობა სრულებით არ სწარმოებს. არ არის კლუბი,



არ არის სამკითხველო. ვაზეთებსაც იშვიათად ვხვდებით. არ იმართება საწარმოთა თათბორები.


- მერე შენ რას აკეთებ?—შევეციოხეთ.
- მე ახალ დანიშნული ვარ.
- ადგილში რას აკეთებ?
- ავრე ბრძანდება და ჰკითხეთ.
- ეპს! მე ერთმა კაცმა რა უნდა გავაკეთო,—გვიპასუხა ადგილკომის თავმჯდომარემ და გადააწვა სკამის საზურგეს.



— მოიხსნას,—ბრძანა ნიანგმა. დაინიშნოს ახალი და მუყაითი მუშაკი.

დალაშდა. ჩვენ, მიუხედავად ყარალების თავდასხმის სიზმარისა, უშიშრად გამოუყევით გზას ისევ თელავისაკენ.

სიბიერი-გენ-შინი.



სასადილოს გამგემ ბოდიში იხადა სამზარეულოს ანტისანიტარულ მდგომარეობისათვის და უხერხულობის დასაფარავად თევზებიდან წმენდა დაუწყო თავგებას ცურკლს, თანაც დასძენდა ძველი არ არის თუ გინდათ გასინჯეთ, ახლა მოუსვრიათ თავგებასო.


დავიწუნეთ სასადილო, დავიწუნეთ პუარის ხარისხი და წამოვიდით.

## ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში.

მივდივართ. გზას ბოლო არ უჩანს. გადავლახეთ ალაზანი, რომელმაც წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, ჩაგვარეკა მარგლების ტრატები. განველეთ სოფლები: ალვანი, (ვალდვიარეთ თამარ მეფის დროს აგებული „ტახტის ბოგირი“), ბაბანეური, ლალის ყური, ფშაველი, ჯულაანი, (წინანდელი „ნაკოლაეცა“), სანიორე, ლოპატას ხევი და შევაქვევით ღინიეცა ნაფარეულის საბჭოთა მამულში.

ვერ ვნახეთ გამგე, ვერ ვნახეთ ვერც მოადგილე. ცენტრში გამგზავრებულიყვენ.

— გეგმა საფარეულოშია,—გვეუბნება ბუღალტერი. 23 ჰექტარი მიწა ახალი ვენახის



დირექტორი, დაწინაურებული მუშა ელბაქიმე თავაზიანად მოხსენებას უყვებოდა ნიანგს მამულის მდგომარეობის შესახებ.

...ვენახები გაშენებული გვაქვს 139 ჰექტარზე, ამითი ნაყოფის მომცემი არაა 61,5 ჰექტარი, ხახშენები—77,5 ჰექტ., ამერიკული ვაზი სადღეები 36,5 ჰექტარა. ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელობის ქვეშ არსდება ახალი დიდი საბჭოთა მეურნეობა „კონდოლი“. ამისათვის გამოყოფილია 500 ჰექტარი სავენახე მიწა. მშენებლობაზე გადადებულია 175.000 მანეთი.

— როგორ ფიქრობთ, შეასრულებთ გუგამა?

— ეპ, რა ვიცი, იმასაც კი ვფიქრობდით, რომ წელს 30 ათას ვედრო ღვინოს მოვიწვევდით, მაგრამ 10.000 ძლივს მოვიწვიეთ.



— მიზეზი?

— სეტყვა.





# ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობაში



მე და ამხ. ჩანჩაგირი ბაკურიანისაკენ გავმართეთ—ციხისჯვრის საბჭ. მეურნეობის განოსაცვლევად.

ციხისჯვრის ფერმაში გრძელმა ორლობემ შეგვიყვანა. იშვიათი სანახაობა გადაგვეშალა, ვფლვინ: აქეთ ახალი შენობები—ჩამწკრივებული, იქით კაქუნი ისმის, შორიდან ხერხები შრიალი, უფრო შორს კი ელექტრო-სადგურის გრაილი, იკირწყობა გზა-ბილიკები და ტხოები, იღესება კედლები. არის ფუფუსი და შშენებლობა.

— აპაა.—ჩვილაპარაკეთ ჩვენ, —თურმე ნახევრად ან ვიცოდით ჩვენი დიდი მიღწევები სოციალისტურ მესაქონლეობის განვითარების დარგში. ასეთი პროსპექტები, ასეთი მოკირწყულ-მოასფალტული მოედნები ბევრ ჩვენს ქალაქს შეშურდება, აქ კი ძროხებისთვის ყოფილა აშენებულ-მოწყობილი.

გამგის კაბინეტთან გავჩნდით. — ჩვენ გვიანდა გამგე და კომუჯრეო, ადგილკომთანაც საქმე გვაქვს.

— პასუხის მაგიერ გაცივრებით აგვათვალეთ—ჩავატავოთ წვერებ-დაწყვილი. მა საშუალო ხნის კაცმა და იქვე თავის მოსატურეს ჩაულაპარაკა:

— კეთილ სულებს არ ჰგავან, ბრიგადა უნდა იყოს!

— გამგეს, ესე იგი ამხ. ისაკი ახალაძეს სძინავს, კომუჯრედის მდივანმა „პრაიო-ტკი“ ტყეში გაისეირნა სანადიროთ, ადგილკომში კი ავერ სასადილოში მზარეულებს ეჩხუბება.

— რატომ ეჩხუბება?

— რატომ და გამგისთვის შენახული სუკი დამკვრელ მუშისთვის შეუწყავს. უხროს-უმცროსობა არ იცის!

— რატომ სძინავს გამგეს?

— ნაქეფარია ბატონო, ძმაბიკები, ჩამოუვიდნ ბორჯომიდან ყველის და კარაქისთვის და კი დროება გაატარებინა, აპრა ქნას, ამდენ უსაქმობაში თუ არ იქეფა

— როგორ, ერბო და კარაქს აქ ყიდით, თუ?

— აპ, გაყიდვა რავა შეიძლება—ისე, მუქთად აძლევს ნაცნობებს.

— ნ-დ-აა. მაინც ვააღვიძეთ, უთხარო. რომ წინანგის ბრიგადა სთხოვს.

წინანგის გაგონებაზე ყველა სხხტად დარჩა, დაფაცურდნ, აჩოჩქოლდნ, მიუსხდნ მაგიდებს და საქმიანი პოზით ქალღღებში წარგეს ცხვირები.

— ბიჭო, გაიგებენ ყველაფერს და დავლუბობთ

— რას გაიგებენ ბოლოს და ბოლოს?

— რას და იმას, რომ ფერმაში გამგე ბულიანი ბიუროკრატისში, რომ ჩანსული თვითკრიტიკა, რომ დღემდე არ გადაესულ-ვართ სამეურნეო ანგარიშზე, რომ კედლის გაზვით არ გამოდის და ათასი სხვა ჯანდაბა.

— კი, მარა მიღწევებიც ზომ გვაქვს: ავერ ამდენი ახალი შენობები აშენდა, სააადილო მოეწყო, კლუბი მოეწყო, ძროხების სამშობიარო-საავადმყოფო მოეწყო.

— რა უყოთ მეგრე, უთავბოლოებით იმ მოუღველოებით რამოდენიმე ასი სული ხბო რომ დაიღუბა, წარიანში და სატყეოში გათიხული ათასობით ფლთი თივა რომ განაღგურდა—ის რაფერი.

— რა უყოთ შე კაცო, ავერ 25 ათას ფუთამდე სილოსი რომ დავამზადეთ, 300 ტონიანი სასილოსე კომპი რომ ავაშენეო ბოსლები რომ შევავეთეთ—ეს არაფერია თუ?

ეს გულახდილი ლაპარაკი, რომელიც ჩვენ არ გამოგვებარა, გამოკვლევისათვის საუკეთესო მასალა წარმოადგენდა, ამიტომ ჩავიწყრეთ და ჩავხატეთ.

მაღე შემოალო კარები გამგე ახალაძეს.

ჩვენ პირდაპირ კითხვების სეტყვა დაუშინეთ:

— როგორაა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საქმე?

ახალაძე (ქეჩოს იფხანს) ისე, არა უჭირს. გადასული ვართ ასი პროცენტით.

ჩვენ: გაუპიროვნება თუ მოსპვით?

ახალაძე—ის გაუპიროვნება, რომელიც რომ გაუპიროვნება ესე იგი თუ ჩვენ პიროვნებას შევეხებით, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების მოსპობა ჩვენ არ გვცხება.

ჩვენ: შარშან რატომ დაგაკლდათ საკვები?

ახალაძე: იმიტომ, რომ სილოსი სულ მე შეგმა შეგვიკამეს. ჰარხლის სილოსი ჩაღდეთ და ის თურმე წნილად ვაკეთდა. მე ძროხებისათვის ვაძლევდი და მუშები კოთითონ სჭამდნ.

ჩვენ: რა ზომები მიიღეთ საქონლის ავადსუფობის წინააღმდეგ.

ახალაძე—ჩვენ რას გავიგებდით, ერთი დავარდნილი ფერმალი გვყავდა და ისიც ჯარში წყიყანეს, კიდევ კარგი, რომ ამხ. ზირაქიშვილმა ამოიარა აქეთ, თორემ თურქული სულ მუსრს ავლებდა საქონელს. მეერ კი იცოცხლე, ამხ. ზირაქიშვილმა დახვია გამოცდილი ექიმები და ავადმყოფობაც მოვსკეთ...

კითხვა-პასუხს საკუთარი თვლით ნახვა გამგეობინეთ. შემოვიარეთ მთელი მეურნეობის შენობები, ბოსლები (რომლებიც დაიკრიალბულ დარბაზებს წარმოადგენს), შენობები, სასილოსე კომპები, საავადმყოფო, სასადილო და სხვ. ნახულმა დადასტურა ამ ორი ამხანაგის მიერ ჩუმად ნალაპარაკევი. მართალია, მიღწევები დილია, საბჭოთა მეტხოველეობა აქ განვითარებულია, მაგრამ მის სანიშნუში მეურნეობად გადაქცევას ხელს უშლის ზემოთჩამოთვლილი დეფექტები.

ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ კონკრეტული წინადადება ერთხელ კიდევ გაემგზავროს იქ ამხ. ზირაქიშვილი, დაათვალიეროს მეურნეობა და მიიღოს ზომები ნაკლის გამო-სასწორებლად.

ხელის შემშლელი კი გადმოუგზავნოს ნიანგს საკბილოდ.

თარსი.

## პატაკი შირაქის საბჭოთა მეურნეობიდან

ეჭამაც წინანგ, შირაქით მიიღე ესე პატაკი: აქ ბევრნი ვნახე საკბილო და შენს ჩანგალზე სატაკი: საბჭოთა მეურნეობა აქ დია საკვებარია,

ორმოცდა ათი ათასი სული ჰყავთ მარტო ცხვარია, ფარა რომ მინდორს გადივლის — იტყვი—თოვლს დაუფარია!

ოცდა სამი აქვთ ტრაქტორი—ფორძონი, — ზოგიც ხოლტია,

მაგრამ აღმინისტრაცია დიხამც დასაშოლტია:

გეგმა არა აქვს ხენა-თესვის, მიჰყვება თვითდინებასა, და ამით მრავალს მოიტანს ოპორტუნისტულ ვნებას:

ხან ნავთი შემოაკლდებათ, ხან ტრაქტორისტი აკლია, კადრთ უყოლობა, უნდა ვსთქვა ამათი დიდი ნაკლია, ცდება ტრაქტორი, ათიოდ მიწა არ იხენის ადლია (აქ ერთმანეთსა ჰფარავენ ნათლიმამა თუ ნათლია) გულშემტყვიარ ხელმძღვანელს ვერ ნახავ არ არს კორია,

თვეში ერო ორჯერ იელვებს აქ ჩვენი დირექტორია და კვლავ მოუსვამს გაჭკრება რალაცა მანქანებითა, ხან ბედაურით ქენაობს, ხან ავტომანქანებითა.

აქ კი მრავალი საქმენი ანაწეწ — დანაწეწია, ზაფხულს მომკილი პურის ძნა ჯვრაც არ გაუღეწიათ, უპიროვნობა ბატონობს გათანაბრებაც ქმნილია, და შრომა ახალ მეთოდზე არ არის გარდაქმნილია, მასმუშაობა არ არის, არც სასადილო იქება. კოოპერატეც ვადიქცა, მხოლოდ მოზიდულ ქიქებად. სამეურნეო ანგარიშს არა სცნობს არავინაო, სანარლო - პრემიალურიც ვილაცამ დააძინაო.

ამ პირობებში თვითონ სთქვი, — სადაც არ არის მხნეობა

ვით განვითარდეს განმტყიცდეს საბჭოთა მეურნეობა, ამიტომ გმართებს გვეწვიაო და დაამყარო წესია, განდენო ვინც კი ხელს ვგიშლის პეტრე პავლე თუ ბესია. კიწავა



# საბჭოთა მეურნეობები საქრედიში


## პატარა-სამტრედია

ტფილისის მუშაკოოპის ბოსტანულის მეურნეობა

წინა დამის ნაწიში იყო. ისედაც ცუდი გზები, სულ წამხდარიყო. ეტლი ძლივს მიდიოდა. ოთხნი ვიჯეჩით შიგ.

— ყოჩაღ მუშაკოოპო, რომ ასეთ გზებს არ შეუშინდი და ამ ჩვენს პატარა-სამტრედიაში გააშენე ბოსტნეულობის მურნეობა. რალაც საეკვო ქებით ამზობდა ჩვენი ადგილობრივი თანამშრომელი ჭაგნელი ბზიკი.

— გააშენა, თორემ დიდ ყურადღებას აქცევს—ადელდა სამტრედიის რაიონის პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარე აზხ. დემეტრაშვილი (ისიც გვახლდა მამულის დასათვალისწინებლად). მხოლოდ ერთხელ ჩამოიბრუნეს წელიწადში, შეაგროვებს მოსავლს და ისევ გაიქცევა ტფილისში. მეჩუ მოგაქაჰა ჭირი, მეორე მოსავლის აღებაშდე აქეთ არც პირსა შერება და არც ყურს. ახვე მეურნეობაში შევედიო.



— ერიპა, ბინები ჩვენთვის კი არა, ცხენებისა და მუშა-საქონლისათვის არა გვაქვს! — ეს რალაც ისეთი კილოთი სიტყვა მეჯინაბემ, რომ ვერ შევატყვეთ სერიოზულად—ამბობდ და დაცივით.

— აკი 191.000 მანეთი იყო გადარიცხული ბინათმშენებლობისათვის?

— კი იყო გადარიცხული, მაგრამ, როგორ სჩანს, ისევ გადმორიცხეს.

— ხელფასს თავის დროზე დეულობო?

— კი, როგორ არა, 2-3 თვეში ერთხელ.

— მერე—და ეს არის ხელფასის თავის დროზე მიღება?

— ეპხ, ესეც გასაკვირია მუშაკოოპიდან.

— მუშა-ხელის ცვალებადობას აქვს თუ არა ადგილი?

— ხვალ რომ მოხვდით აქ, იშვიათად ნახავთ ამავე ხალხს. არ იცდიან. ზევრს ვეხვეწებით, მაგრამ მაინც გეტოვებენ!—თავს იპართლებდა აღმინისტრაციის წარმომადგენელი, შეგვჩა მხოლოდ გადმოხვეწილი ხალხი, რომელსაც სხვა ჩარი არა აქვს თუ არა აქ ყოფნა.

— კმარა. წავიდეთ ეწერში „ზაკალოლო-ოვრშის“ მეურნეობაში.—გუთხარი ამხანაგებს.

— წახვალთ, თორემ იქ უკეთეს ამბავს ნახავთ.—ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ.

— მოკითხვა გადაეცით ტფილისში ჩვენს ძვირფას და საყვარელ „ხაზეინს“ მუშაკოოპს.—მოგვაძახა დაცივით მეორემ.

## ფეხრის საბჭოთა მეურნეობაში

როცა ჩვენი ეტლი ჩავიდა ეზოში, სამზარეულოსთან თიფიკორილმა ხალხმა აღტიცებით წამოიძახა:

— პური მოიტანეს, პური!

მაგრამ როცა ჩვენ ეტლიდან გადმოვედით, აღფრთოვანება მწუხარებამ შესცვალა.

— რაშია საქმე, რომ პურზე ასეთი ამბავია?

— საქმე იმაშია, რომ პური სამტრედიაიდან მოაქვთ. ერთ ფურნეზე მიმაგრებულია უამრავი წარმოება და მეურნეობები. ფურნე ვერ ასწრებს ყველას დაკმაყოფილებას, ხან ერთს ატყულებს და ხან მეორეს.

— თუ შეიძლება ჩვენი სასადილო ინახული?

შევედით სასადილოში, მაგრამ სასადილო კი არა... (მეურაცყოფა იქნებოდა მუშებისათვის გვეწოდებია შესაფერისი სახელი ამ „სასადილოსთვის“).


— რა გიკვიროთ, ამხანაგებო. მუშაკოოპის მეურნეობაში უკეთესი სასადილო თუ?— ჩამოგვევრია ლაპარაკში აღმინისტრაციის წარმომადგენელი.

— ეს თავები და ძვლებია მარტო?

— დღეს რალაც სასწაულია, რომ კამეჩის თავფეხი მოუტანიათ, თორემ სხვა

დროს უნდა ნახოთ რას გვაქმევინ—ამბობდა ერთი მუშა.

— „კურდღელი თუ ინადირო, ტყავი შენ, ხორცი ჩვენაო. თუ ხარ-კამეჩი დავკალით, ხორცი ჩვენ, ძვალი თქვენაო!—სიტყვა ქაგნელმა ბზიკმა დაცივით.



— რა გასაყვედურებს, კაცო,—„გაბრაზდა“ მეორე მუშა,—განა ცოტა გვაქვს საქმელ-სამელი? ამ სახურავიდან რომ წვიმა ნიადაგი ჩადის ამ ქვაბებში და წვესს ემატება, ეს არაფერია?

— და მართლაც წვიმის წვეთები შიგ ქვაბებში ეცემოდენ.

— ის ტრაქტორი რატომ გლია მინდვრად?

— შენობა არა გვაქვს.

— ვერ ააგეთ?

— ცენტრი ყურადღებას არ გვაქცევს.

— რატომ არის ზოგი მუშები ფეხშიშველი?


— ფეხსაცმელები ჩვენთვის კი არა, აღმინისტრაციის ძლივს ჰყოფნის, რასაც ცენტრი გზავნის.

— ამა, თქვენ იცით, თუ მოაფხიზლებო ცენტრში ჩვენს „ხაზეინს“ და ჩვენთვის ყუ რადლებას მოაქცივენთ:—მეგვახებს მუშაბმა წამოსვლისას.

— ეპხ! ესენი კი არა, მგონი მუშაგუნებო ცენტრში ჩვენს „ხაზეინს“ და ჩვენთვის ყუ რადლებას მოაქცივენთ:—მეგვახებს მუშაბმა წამოსვლისას.

— ესეც მართალია,—უნუგეზოდ დაეთანხმენ სხვები.

— აი, ასეთია მეურნეობებში მდგომარეობა. ცენტრი არავითარ ყურადღებას არ აქცევს.—ბრაზობდა აზხ. დემეტრაშვილი,—ათი საათი სამუშაო დღე შემოიღეს მეურნეობებში და ხელფასი იგივე დატოვეს, რომ რამეს ეტყვი, ამბობენ:



— აი დასწყევლოს ღმერთმა, ისეც მამულია!—ბრაზობდა ერთი მუშა, რომელიც საქონელს სდევდა,—აქედან გადავდენი, იქიდან ჩამოვდის.

— რაშია საქმე?—ვკითხეთ ამხანაგებს.

— საქმე იმაშია, რომ მეურნეობა შეუტყავებელია. ეს კაცი დაყენებული გყავს მეურნეობის დასაცვად საქონლისაგან. მთელი დღე ასე დარბის საწყალი. ბევრს იზონება, მაგრამ საქონელი მაინც თავისას აი აშლის,—გვიტხრეს მუშებმა, რომლებიც სადილს ელოდებოდნენ.

— ზარი უკვე დარეკეს და ჯერ ლობიო ბოხარშულიც არ არის.


— დღეს ლობიო გაქვთ?—ვკითხეთ ჩვენ.

— როდის არა გვაქვს. ისიც ჩვენი მოტარელსა სახლიდან.



— ტიკებივით ვიბერებთ ლობიოს ბორშით, ეს არის ჩვენი მუდმივი საქმელი.

— სად არის მუშების საერთო საცხოვრებელი?—ვკითხეთ უჯრედის მდივანს.



— რვა საათზე ვიწყებთ მუშაობას, ექვსზე ვათავებთ. სად არის აქ ათი საათი?—ისეც სამტრედიაში ვართ. დავატვალთ ერთ ქალაქი, მაგრამ ამის შესახებ ოდესმე სხვა დროს.





# ნიანგის საკბილო

„შიცი მარხას, გოლო მაკვირებებს“

ბაზა — უჩინ-მაჩინიშვილი

„ადგილობრივ საწყობის გამგე ხშირად არ აძლევს სხვადასხვა საჭონელს საჭიროებისამებრ, მიზეზად ასახელებს თითქოს უკანასკნელი არ იშოვებოდეს.“

„უგარელის მეღვ-მეცხვარეობის გამგეს — ქაქალაშვილს კაცი თავის კანინეთში იშვიათად ნახავს.“



— რას ჩამცივებხართ, ხომ გესმით, რომ ბენზინი არ არის და რა მოგცეთ, ვა, რაღაც ათიოდე ფუთილა დარჩა და იმას კიდევ მოვაკლო?

— ეს მეათეჯერ მოვედი და მაინც არ იქნა გამგის ნახვა, სად დაიკარგა ნეტავი?


„ოგლის კვირი“

— მეათეჯერ კი არა — მგონი მეასეჯერ ვარ მე აქ მოსული და მაინც არ მეღირსა მაგის ნახვა, ამბობენ ჩვენმა გამგემ — ქაქალაშვილმა გვარი უჩინ - მაჩინიშვილად გადაიკეთა და ამიერიდან მისი ნახვა აღარავის აღარ შეეძლებაო.

„უდაბნოსა და ნაფარულში სხვების ქარხნების ამუშავება მთელი წელი ფერხდება ზოგიერთი უმნიშვნელო ნაწილების უქონლობის გამო.“

„უხარხული მღვმარაოვა“

„შირაქის მემ-მეცხვარეობის მეურნეობას არა აქვს პირუტყვისათვის საჭირო პინები.“



— კაცო, ეს ქარხანა ამ წლის დასაწყისს უნდა ამუშავებულიყო და რა მიზეზია, რომ წელი სრულდება და მის ამუშავებას საშველი არ დაადგა?

— ბაზა: დასწყევლოს ეშმაკმა, მე რას მეხვევიან ეგ სამგელეები, მავათვის კი არა ჩემთვის არ მაქვს ამ ზამთარში რიგიანი ბინა!



— სწორედ წილიწადი გადის, რაც ინუ. ვასილიუნი გვპირდება საჭირო ნაწილების გამოგზავნას, ერთი წელი არც ისე დიდი დროა და რა გასაკვირიალია, შეიძლება კაცმა ეს ვერც მოახერხოს ასე ჩქარა, ანდა იქნებ გამოგზავნა კიდევ, მაგრამ ჩვენმა ტრანსპორტმა დაასილოსა სადმე!

„მაღალი ტემპები“

„გიაურ-არხის მეურნ. აქვს 4 ტრაქტორი, რომლებითაც მოხნული იქნა სეზონის განმავლობაში მხოლოდ 16 ჰექტ. მიწა.“

„საუცხოვრო სანანოვა“

„ვარციხის მეღვ-მეღვ. მეურნეობა ბოუელელია, იქ ადგილი აქვს სიბინძურეს.“




— კაცო, ეს ღორები ნეტავი ჩვენს გამგეს გვამის შესრულებაში ეხმარებიან?

— მაღალი ტემპებიც ეს არის, წელს 16 ჰექტარი მიწა მოხნა 4 ტრაქტორით, მომავალ წელს 20-დე მაინც ავიყვანო. სხვებმა თუგინდ 200 ჰექტარიც მოხნა, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ „ჩვენებური ტემპები“ გვაქვს და ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე!...

— შეიძლება ასეც არის, რადგან მისმა ნათესავებმა, რომლებითაც მეურნეობა აავსო, ვერაფერი უშველეს.





უცხოეთში

და

ჩვენში

|| მზადდება საბუნების საინჟინერო სამუშაოები ||



# საბჭოთა მეურნეობა თელავის რაიონში

## უღორო მეღორეობა

— იმედია, ჩვენი მეღორეობის მეურნეობასაც ინახულებთ ალავერდში, — გვითხრეს თელავში.

— რას გავუშვებთ! — ვსტყვით ჩვენ და გავემგზავრეთ. სიტყვა „გავემგზავრეთ“ არ ეკადრება

მეშობა ყოველ შემთხვევაში. მოუთრევიათ და დაუჭრიათ ამ ეკლესიის გაღვაწი 6 ტრაქტორი ცის ქვეშ...

— ნუ ტლიკინებ, მეც კი ველაპარაკები ამ პატიოსნებას, — გაბრაზდა დირექტორი ტრაქტორისტის ჩაივრის გამო.

საკეთებელი სახელოსნო, არ გვაქვს შექმნის თებელი, არ გაქვს „მენობა“ იარაღების შესანახად...

— ნუ ტლიკინებ მეთქი, — კიდევ უფრო გაცხარდა დირექტორი.

— ეს რა არის კაცო, საიდან შეიძინეთ ეს ქლექიანი ცხენები, — მიუთითა ნიანგმა გავლავის ერთი კუთხისაკენ, სადაც ჩონჩხებულ ქლექიანი ცხენები მოსჩანდნენ.

— ქლექიანი კიდევ არაფერია... ზოგი ცალით თვლით არის ბრმა, ზოგი ორივეთი, — დაუმატა ისევ ტრაქტორისტმა.

— მე რა ვქნა, ასეთებს მიგზავნის ცენტრი, რა ზემი ბრალია, — იმართლა თავი დირექტორმა.


— ჩვენ ავგანგავით... თუ ასე გავრძედა არც ერთი პატიოსანი ღორი არ გაჩერდება ალავერდის საბჭოთა მეურნეობაში.

— ადგილკომის თავმჯდომარე სად არის? — ვიკითხე.

— რად გინდათ, რა უნდა გითხრას მან, სულ სამიოდე დღეა რაც დავნიშნე, — სტკე დირექტორმა.

— „დავნიშნეო“, — ავტიყდა სიცილი და მართლაც აღარ დავუწყვეთ ძებნა დირექტორის მიერ „დანიშნულ“ ადგილკომს.

დავათვლიერეთ მხოლოდ მონაზნების საცხოვრებელი პინები, სადაც ესლა მუშები ცხოვრობდნენ. კედლებზე აღარ მოსჩანს ხატები. „წმინდანები“ გაპარულან.



ჩვენს მოგზაურობას. გავემგზავრეთ კი არა, ვეთრით დანჯღრეული ლინეიკით ლავში, რომლის გაფანტვას მელნიეკი ისების ცხენებიც კი უკადრისობდნენ და ლავისათვის გვერდის ავლის მიზნით ხშირად კანაოსაკენ მიგვათრევდნენ, აქაო და „დაუტრახავი“ მანც არ წამოვიდოდნენ ასეთი გზითა.

როგორც იქნა დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ გამოჩნდა ალავერდის ტაძარი.

— აბა, შენ იცი, კარგად გააკეთე ღორების კარიკატურა, — ვუთხარით მხატვარს და შევედით ალავერდის ტაძრის გაღვაწიში.

ქიშკართანვე შემოგვხდა მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ძამუკაშვილი.

— თქვენი ღორების სტუმრები ვართ, — გვიჩვენებთ მასპინძლები, — ვუთხარით ჩვენ.

— აქ მასპინძელი ჯერ-ჯერობით მე ვარ, ღორები ჯერ-ჯერობით არ გვეკარებიან რადგან არც საკვები გვაქვს მათთვის და არც ბინები.

...ჩვენ გაზაფხულზე მოგვივა 2:500 დედა ღორი. ესლა სწრაფი ტემპებით ვუდგებით სამზადის მუშაობას. ვიძენთ სააღმშენებლო მასალებს, ამ შემოდგომაზე ღორების საკვებისათვის უნდა მოვხნათ 540 ჰექტარი მიწა...

— ვერაფერსაც ვერ მოხნავ, თუ ამაზე მეტი ფხა ვერ გამოიჩინე, — ჩაერია მექანიკოსი-ტრაქტორისტი. ტყუილია ძმებო, ასე

— შენ რომ ელაპარაკები ის ზღაპარია... ვიყრია უმოქმედოთ ეს ტრაქტორები. ექვსიდან მხოლოდ ორი მუშაობს. იაიც მალე გაუფუძღება ასეთი მოვლით, არ გაქვს შე-

## თ ე ლ ა ვ შ ი

თელავში რომ დავბრუნდით, უკვე სადილობა გადასულიყო. წვიმა სკრიდა, იღვა ლავი, ჩაუარეთ აღმასკომის ტრანსპორტის ეზოს, სადაც ნიანგი გაცეცხლებული თვალეებით მიაჩერდა რალაცას. გავიხედეთ: ცის ქვეშ, ლავში ეყარა ძვირფასი სანაოლით საძებარი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: ტრაქტორები, გუთნები, სალექი, კამარგელი და სხვა უამრავი მანქანები, რამდენიმე ასეულ ათას მანეთად ღირებულო.


— დასცხეთ! დასცხეთ! — გაისმა ნიანგის ხმა.

— ვის დავსცხოთ? — შევიჭერით ეზოში.

— ვის და რაიკომმეურნეკავშირს, — გვიპასუხა ეზოში მდგარმა ტრანსპორტის გამგემ. მეც გული მივდებოდა ამას რომ ვხედავ, მაგრამ რა ვუყო, მე ჩემი ჭონებისთვის ვერ მომივლია.

— განვაში! განვაში! — დავიძახეთ ჩვენ და თანც პიშვილისაგან ავანგაშებულებმა გავსწიეთ სასაიდილოსაკენ.

სმავირ-გან-შიხ.



თელავის რაიკომმეურნეკავშირის სამეურნეო იარაღები ცის ქვეშ, უპატრონოდ

## ლ ვ ი ნ ო

მე ბალში მოსული ღვინო ვარ. გლეხისა და კოლექტივის მიერ დამზადებული. ადგილებზე 50 კაპიკი ღირს ლიტრა ჩემი თავი, მაგრამ ადგილიდან რომ დავიძვრები, ფასი ერთი ხუთათ იზრდება (მთიელთა კულტურულ საზოგადოების გასტრონომიაში 5 მანეთამდეც კი აფასებენ ჩემ თავს). ვფიქრობ რაც მეტი ვფასობ იმდენად მორიდდება მექნება-მეთქი, მაგრამ არა,

ყველა კბილების კაწკაწით მიმარბენიებს ხელში.

რათ მედება ასე ფასი? ჩემს თვითღირებულებას მანეთანხევარი ლიტრზე პირველმა ჩარჩმა მიუმატა, მეორე მოგება ჩემში, ქალაქელმა ვაჭრებმა ნახეს, მესამე მოგება-სასაიდილოს გამგემ და მეოთხე მოგება მაგიდაზე მიმტანმა.

არც მუშტრები რჩება ჩემგან უპა-

ტივკემულოთ, ზოგმა თუ ზომიანზე მეტი მიიღო ჩემი დოზა, ისე ავურევ ჭკუას (თუ აქვს ასეთი), რომ ყველაფერს ვავიწყებინებ. თუ მას არასოდეს უთამაშნია, მე ვათამაშებ, თუ არ უმღერის-ვამღერებ, თუ არ უჩხუბია-ვაჩხუბებ და „აქტიურ კაცად“ გამოვიყვან ხოლმე.

როგორა ფიქრობ-ფასი არ უნდა მქონდეს? ძნელოდლი



# „მ ი თ ი თ ე ბ ე ბ ი ღ ა ე უ შ ა ვ ღ ა“

ჩაის მნიშვნელობა უკვე ყოველგვარ მნიშვნელობას აკარბებს. ეს ყველას მოეხსენება.

გამოკვლევის შედეგები, რაც „ნიანგის“ ბრიგადამ ჩაატარა, მდიდარ მასალას გვაძლევს. მასალა იმდენია, რომ იგი (მასალა) სააღმშენებლო რომ იყოს, ჩაის საბჭოთა მეთურნეობებს ეყოფოდა ბინების ასაგებად.

დავიწყეთ ნასაკირალით. შარშანდელ ტყეში, სადაც ტურებს ყოველ ღამე კონცერტი ქონდათ, დღეს ჩაის საბჭოთა მეთურნეობა გაშენებული.

მეგრამ ნასაკირალს ერთი პატარა ნაკლი ახლავს: იგი გეგმებს ვერ ასრულებს. მაგალითად, მის ამა წლის მეორე ნახევარში უნდა დაემუშავებია 215 ჰექტარი მიწა, ასწია ნასაკირალმა და ჯერჯერობით, ოთხ თვეში, მოასწრო ათი ჰექტარის დამუშავება. დარჩა რაღაც 205 ჰექტარი და ორი თვე! რაც უნდა კარგი ბიჭობა გამოიჩინოს ნასაკირალმა, ორ თვეში 205 ჰექტარს ვერ მოერევა, რადგან წინა თვეებში თვითრად 2—3 ჰექტარს ძლივს აბრუნებდა.

ყველა ეს მიღწევები ნასაკირალის მეურნეობის სამკუთხედს აქვს „ობიექტიური“ მიზეზების ასი პროცენტით გამოყენებით და ამხ. სტალინის დირექტივებისთვის გვერდის ახვევით.

გავყვეთ ქვევით: იქ, სადაც შარშან ტურები ქყარდენ, დღეს არის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეთურნეობა, რომელიც... და სხვ.

ლაითურის მეთურნეობის სამკუთხედი მოდებს მისდევს. მან მოდის გულისათვის „დაამუშავა“ ამხ. სტალინის მითითებები. — მაღლობა უფალს, ეს მითითებები ხომ გადავაგორეთ — ლუარსაბივით სრქვა სამკუთხედმა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ღრმა ძილში შევიდა.

ს. მეთურნეო ანგარიშზე გადაუყვანელ ბრიგადენს გული აუჩუყა ამ სურათმა. სულის მოსაბრუნებლად ბრიგადები იქვე შევიდენ სასადილოში და რიგში ჩადგენ სადილის მისაღებად, რომელიც დერდილის ხინკლისაგან შესდგება.

იმ დღეს ბრიგადებმა გვიან დაიძინეს კარავებში, სადაც (ალბად ჰაერის გაწმენდის მიზნით), სისტემატირად უბერავს ორპირი ქარი.

ღამით ბრიგადებს ტკბილად ეძინათ ნამიან საწოლებში, რადგანაც მოსული წვიმა თავისუფლად ჩადიოდა სანახევროდ ღია სახურავებში.

იმავ ღამით (ეს იყო 20 ნოემბერი) აღმინისტრაცია, დიდი ანგარიშის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეოთხე კვარტალის გეგმა ბარე სამი პროცენტითაა შესრულებული.

— საკვირელოა, — ამბობდა სამკუთხედი, — სტალინის მითითებები დავამუშავეთ, ეს პირშავი გარდევდა მანც არ გვეზორდება.

ამაზე „ნიანგის“ ბრიგადა იმ პასუხს იძლევა, რომ მითითებების დამუშავებას მაშინ აქვს მაღლი, როცა ისინი ცხოვრებაში ტარდება.

ჩავყვეთ კიდევ ქვევით:

იქ, სადაც შარშან ყირამალა გადადიოდნ...

ერთი სიტყვით, იქ ეხლა გადაჭიმულია წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეთურნეობა,

სადაც აგრეთვე დამუშავდა ამხ. სტალინის დირექტივები.

ალსანიშნავია, მხოლოდ, რომ მეთურნეობა გეგმას ვერ ასრულებს და 900 ჰექტარის ნაცვლად ჯერ 177 ძლივს მოხნა. განსაკუთრებით ლამაზად მუშაობს სატრაქტორო კოლონა, რომლის დახმულს ხელმეორედ საფუძვლიანი დახვნს სტირდება.

დიდებულად მოგვარდა კოლექტივებიდან მუშა-ხელის ორგანიზაციულად მოზიდვა მეთურნეობაში: სამკუთხედმა ხელშეკრულებები დასდო კოლმეთურნეობებთან და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა: ხელშეკრულებები უჯრებშია, ქარბი მუშა-ხელი — კოლექტივებში, სამკუთხედი — მეთურნეობაში, ხოლო გეგმა — გარდევის პროცესში.

ასევე მოწესრიგდა მუშათა სოციალურ-ყოფაცხოვრებითი პირობები: მართალია, ბინები არ არის, კარები უფარვისია, სასადილოები ციწრო და დანგრეული, გზები

გატყვანელი, საეკიმო პუნქტი აუფენელი და სხვა, მაგრამ ეს სხანს მხოლოდ დღესია, ღამით კი ამ დეფექტებს ვერ დაინახავ, რადგანაც ელსადგურის უქონლობის გამო ღამით ისეთი სიბნელეა, რომ თვალში თითქმის ვერ იკრავ.

ორათ ორი ორგანიზაცია, რომლებიც კარგად მუშაობენ, გახლავთ „ზაკსელ-სტრია“ და „ჩაიმშენი“, რომელთაც ბინები და სხვაც ბევრი რამ უნდა აუშენებიათ და საამისოდ ყველაფერი ემოვნათ. დიდი ძეგლის შემდეგ მათ იშოვეს ობიექტიური მიზეზი, ჩაებლუქენ მას და არაფერი არ აუშენებიათ. გარდა ორი-სამი სახლისა, რომლებიც იჭნებ ასე უტბად არ დანგრეულიყვნენ, წვიმები რომ არ მოსულიყო.


ასეთია მოკლეთ შრიგადის გამოკვლევის მასალები. დასკვნები ისევ სტალინის მითითებების გატარებაშია.

ალღარ-ალღარსან.

## ალავერდის მელორეობის მეურნეობა

ნახ. ქოქიაშვილის


იქ, სადაც წინად დაფრიალებდნენ ბერ-მონაზვნები ანაფორებით, დღეს გაღავანი მოფენილია კომბანიებით და ტრაქტორებით. სადაც სუფევდა მატყუარობა, ბერ-მონაზვნების ცხოვრება ჯანტი, — დღეს ფეხს იკიდებს და ვითარდება მელორეობის მძლავრი გიგანტი.





# ლიმონ-განდარინის და ფორთოხლის გალუი

(სახუმო, მემცენარეობის ინსტიტუტის მამული)



**ვაშლმა**, სთქვა-თურა მათუღმა  
 კარგი რამე ვარ-მარაო,  
 უნდა გამოვტყდე: წყეულმა  
 მუშკობმა გამამწარაო.  
 საწყობში გაომამწყვდია  
 მყიდვიოს არ გამაკარაო,  
 მე აქ ვარ, „ვაშლი არ არის“  
 იძახის წარა-მარაო!

ვინ მოსთვლის როგორა მზაგრავს,  
 ანდა რა შარებს მიღებსო,  
 ამგვარი მისი მოპყრობა  
 დღითიდღე ბოლოს მიღებსო;  
 მაგრად ჩამსჭედავს ყუთებში  
 იქვე სარდაფში მიმდებსო,  
 სანამ კარგად არ ჩავლები,  
 მანამ არ ამოვიღებსო!

თუ მოისურვა ოდესმე  
 ქალაქში ჩამიტანაო,  
 მუშტრების ხელში ჩამავდო  
 რო ყელს გამისვან დანაო,  
 დამცირებული ვერ ნახოთ  
 თქვენ ვერსად ჩემისათანაო,  
 ამგვარ რამე რომ იოცქერი  
 ამაზე ვფოხვარ ვანაო!

ვხედავ-ჩემს მოძმეს, ჩემებრ ვაშლს  
 რო ჩემზე ძირად ყიდიან,  
 ვფიქრობ-რომელი ღირსებით  
 არის ის ჩემზე დიდა?  
 შეურაცყოფა ამგვარი  
 ჩემი ფეხებზე ჰკიდათ,  
 ორი მანეთი სხვა რათ ღირს  
 ის ჩემზე კარგი რითია?  
 მუშკობი და „კოპები“  
 დამეპატრონა მრავალი,  
 და ჩემი ფასიც მიტომაც  
 არიეს როგორც დომხალი;

აქ ასე ვფასობ, იქ ისე,  
 სხვაგან კი კიდევ სხვა არი,  
 ჩემ თავზე ამგვარ ოთურმას  
 როს დაეიძა საზღვარი?

**მსხალმა** მიუგო—გულაბმა  
 ნუ გააწყალე გულიო,  
 რა გინდ სთქვა-მანც ჩემსავით  
 შენ არ ხარ დაჩაგრულიო,

—შეგიძლიათ გაეცნოთ ფორთო-  
 ხლის საუკეთესო ჯიშებს,—დაიწყო  
 ჩემმა მოსაუბრემ მისუსტებული  
 ხმით და ცოტა დარცხვენით:—ესპა-  
 ნური ჯიშები... ხმელთა შუა ზღვის  
 ჯიშები... კოროლკი... ნაველი-ტყუ-  
 პი. ტრაპიზონის ანუ ჩვეულებრივი  
 ადგილობრივი ფორთოხალი...  
 შვეიცოვის ფორთოხალი... სოხუმის  
 საკლიმატიზაციო სადგურის ფორ-  
 თოხალი...

ჩვენ ლიმონიც ბევრი გვაქვს...  
 როგორც ხედავთ, აქ მანდარინი კი-  
 დევ უფრო მეტია... 1932 წელს სა-  
 ქართველოში დარგული უნდა იქნას  
 1500 ჰექტარი სხვადასხვა სუბტრო-  
 პიკული ხეხილი. აქედან ათასი ჰექ-  
 ტარი ლიმონი, ფორთოხალი და მან-  
 დარინი.

1933 წელს დარგული უნდა იქნას  
 3.570 ჰექტარი ახალი ნერგი. 1937  
 იქნება 35.000 ჰექტარამდე...

—ეს კარგი, მაგრამ ვინ უვლის ამ  
 ბალს?

—მოვლით არავინ, ცდებს და და-  
 კვირვებას კი ყველა ვაწარმოებთ.  
 ლიმონ-მანდარინზე, ფორთოხალზე  
 და ზოგიერთ დეკორატიულ მცენა-  
 რებზე ჯერჯერობით გავრცელებუ-  
 ლია 60-ზე მეტი სხვადასხვა სახის  
 მავნებლები, მგალითად: ავსტრა-  
 ლიის ქია, კუ ჯღიბა, ვარსკლავა და

სხვა... მათ შორის არის ისეთი ავად-  
 მყოფობაც, რომელმაც ერთ დროს  
 ამერიკაში თითქმის სავსებით გაანა-  
 დგურა ციტრუსოვანი ნარგავები.

—რატომ არ აწარმოებთ ბრძოლას  
 მავნებლების წინააღმდეგ და არ  
 იღებთ სათანადო ზომებს?

—პირადად ჩემი მიზანია ცდების  
 დაყენება, დაკვირვების წარმოება  
 და სხ. მავნებლებთან ბრძოლა ჩემს  
 მოვალეობაში არ შედის...

—გყავთ თუ არა თქვენ მცენარეთა  
 მავნებლების სპეციალისტი?

—სპეციალისტი საერთოდ აქ ბევ-  
 რია, ჯამაგირებსაც არა უშავს, ია-  
 გრამ წამლობის საქმე ჯერ არ დაწ-  
 ყებულა..

—ვრცელდება თუ არა თქვენი ბა-  
 ლიდან მავნებლები სხვა ბალებში?

—უთუოდ ვრცელდება, რადგან  
 წამლობა იშვიათი შემთხვევაა,  
 ავადმყოფობის შესახებ კი სხვაგა-  
 ნაც ბევრი ჩივის.

—როგორია წელს აქ მანდარინის  
 მოსავალი?

—ნაყოფი რაოდენობით ბევრია,  
 მაგრამ საჭმელად არც ერთი არ ვარ-  
 გა, ავადმყოფობამ ყველა გააფუჭა.

—კი მარა პატრონი არავინ ყავს  
 ამ შეურნეობას?

—როგორც ხედავთ.

წიკუნტალა

ერთი შენ ჩემი იკითხე  
 გულის ბოლმა და წყლულიო,  
 ცის სინათლი არ მინახავს  
 ორი თვე არის სრულიო!  
 ჩემსავით ნაზი შენ არ ხარ  
 ნუ ჩემობ პირველობასა,  
 მე კი აქ სარდაფში ვდღივარ  
 და უკვე ვიწყებ ლობასა;  
 ხალხო, წამიღეთ ვიძახი,  
 გამყიფით თქვენსა ძმობასა;  
 მაგრამ არავის არ ესმის  
 არ მაქცევს ყურადღებას!

ჩემს მოგონებით კი მუშტრებს  
 პირზე ადგებათ ნერწყვია,  
 მელოდებიან, მეძებენ  
 ჩემსა დანახვას ელტვიან,  
 „მსხალი გექნებათ-ძმობილო“  
 ხშირად ნოქრებსა ეტყვიან,  
 იქვე სარდაფში გდებულსა  
 მე ეს სიტყვები მესმინა;  
 კვალად ვიყვირებ: „აქა ცარ“,  
 მაგრამ არ ესმის არავის,  
 და ასე ვლპები დღითი-დღე  
 გოოს მიკლავს სევედა მზარავი!

**ზ. ზსუნელი.**

## წერილი გურკაყანისადმი

ძმა ბურძაყან! მე ვმუშაობ ზარაგოლის  
 რაიონის საფინანსო განყოფილების ფინ-  
 ინსპექტორად (ჯერ სახელწოდება განი-  
 ჯე!) ხომ განსოვს, როგორ ფერ-ბორცზე  
 ვიყავი. ყვავსაც ვერ გავაძღბდი, ჰინჭრა-  
 ქასავით ვიყავი გამხდარი, მაგრამ ეხლა  
 რომ მნახო, გესიამოვნება: წვერ-ულვაში  
 ამიღაუღაუდა და ღიბი გამოიკეთდა, ჰამის  
 მადა კარგი მაქვს და ვკამ ნაქაფავს. ასე,  
 რომ ეხლა ვერც ყვავი შემიქამს და ვერც  
 მგელი.

ბიჭო, ფეხით სიარულს ადარ ვაკდრუ-  
 ლობ. ხელდასი, მართალია, 50 მანეთი  
 მაქვს მაგრამ სამაგიეროდ სურსათ-სანოვა-

ვის გამოიჩინა იმდენი მაქვს რომ თითქმის  
 ას თუმანსაც აღემატება თვიურად.

ამას წინააღმდეგ რკინის გზის სადგურზე გა-  
 ვიარე. ვხედავ ერთ ქალს საესე პარკი  
 უჭირავს ხელში. იმ წუთში ვსტაცე ხელი  
 და ჩამოვართვი. წავიდე, ავწონე და 8 კი-  
 ლო შაქარი გამოვიდა. ესეც ხეირია,—  
 ვსტევი ჩემთვის გუნებაში და წავიდე  
 სახლში.

ასეთი საგმირო საქმეები ხშირია ჩემთან,  
 ჩემო ბურძაყან, მაგრამ, ხომ გაგიგონია:  
 „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“—ო,—  
 ქალი თურმე კარგი გაქმეილი ვინმე ყო-  
 ფილიყო. მხხრიკეს, მხხრიკეს და მილიცია-  
 ზე გადამცეს. ეხლა ყურებჩამოყრილი ვარ,

მარა გულს მაინც არ ვიტებს და ვფიქრობ  
 ომ თუ საფინანსო განყოფილების თავ-  
 მკდომარე ვანო ეფრემიძემ წითელ სასა-  
 დილოში სახალხოთ კინაღამ მოჰკლა რე-  
 ვოლ ვერით რაიკოლმეურნეობის საქმის  
 მწარმოებელი—გოგია კიკნაძე, მაგრამ ამი-  
 სათვის მისთვის არვის არაფერი უთქვამს,—  
 ზე, თუ ღმერთმა ქნა და ციხეში არ ჩამავ-  
 დეს, ბოხსნას არ ვსტირი და იმედი მექნება  
 მანდ რომაწყობ სადმე უკეთეს საქაფავ აღ-  
 გავს.

შენი უმცროსი ძმა შალვა  
 მეფარიშვილი.  
 წერილის მნახველი „ქირაქიტა“.



საბჭოთა მეურნეობა არის ჩვენში „ტალევანი“, ორი ვაჭი რომ განაგებს: იაკინთე და ლევანი, ბოსტნეული ბლომად მოსდით: პური, ღვინო, ფხალევალი, თქვენის თვალთ ნახეთ, თუ გსურთ „თვალთ წყალთა დაღვევანი“!..

მოსდით მხოლოდ ამ „აოგხოზით“ ქალაქებში გატანილად მე ვერ რამე არ მსმენია პურად; ღვინოდ თუ წვანილად; რაც აქ არის, სულ ხავრდება, დამბალს ვხედავ ვაგზაფერილად, ლევანს და იაკინთეს კი აქვთ ხელი სულ დაბანილად!..

სამწუხარო ამის გამო იქნებ ლევანს რამე პკითხეს, ის იმ წამსვე ხელს გაიშვერა: —მიაკითხეთ იაკინთეს!..“ ლევანი თუ ტემპიანობს, იაკინთე კითხვას ითმენს, ალბათ, ლევანს ერიდება და პასუხზე სულ ფხს ითრევს.

— მე რას მკითხავთ; როცა გამზე უცილობლად ლევანია, ყანა, ზვარი მას ეკითხვის, ჩემი აქ არც მტევეანია, ის „ზავია“, მე კი—„ზამი“; აქ რაღა არჩევანია? ის აქ ზის და მე ვგამოვადე, უღირს ხალხის ჩვევანია!..

ასე არის შეწყობილი სოფხოზში“ ეს ორი „ზავი“, მართალია, ერთი კუდობს, თუ მეორე არის თავი, მაგრამ მაინც იმათ შორის სამუდამო სუფევს ზავი, ნუ გგონიათ, მეორისა რომ დახიოს ერთმა ტყავი!..

მხოლოდ „სოფხოზს“—„ტალევანს“ კი ეს ამბავი უჭირს მეტად: მოსავალი უხვედ მოდის მუშების წელ-მოსაწყვეტად; მხოლოდ რგებით არავის რგებს, საშინაო საზრდოს მეტად, რატომ? ეს სდგას ამოცანად, ძნელად რამ გარდსასწყვეტად!..

ჩემის აზრით, კი ამ საკითხს სიძნელე სულ არ ეგებს! ლევანს ვკითხობთ, იქნებ გვითხრას, იაკინთეს—მან ეგებს!.. არა, აზრი ჩვენ არ გვარგებს არც ერთ ამ „ამხანაგების“, ამხანაგურ საქციელში მათ რომ წუნი არ ედებინს!..

ორივეა დამყრდნობელი ერთმანეთზე დიდის რწმენის: რაც ერთსა სწყინს, მეორისგან არ გაისმის რხევად ენის, მხოლოდ გაუპიროვნება თვითონ საქმეს რომ არ შვენის, რა ხანია, რაც სტალინმა დირექტივად მოგვცა ჩვენ ის!

და რაღა ეს? თითონ ხალხმა შეიტანა აქ წვლილი იმითი, რომ მან ანდაზა სთქვა ბრძნული და დაცდილი, რომ „ორ ერთულ ძიძას შუა გაიჭყლიტა ყმაწვილიო“; და მათ შორის ასე ჩიპქრა მეგობრობის აჩრდილიო!..

ასეთივე ბედისაა, სჩანს „სოფხოზი“—„ტალევანი“: სანამ იმას განაგებენ იაკინთე და ლევანი, საუნჯეთა, „შიგან დეპულთ“, მალე ელის დაღვევანი. ობათ წავა: პური, ღვინო, ბოსტნეული ფხალევანი!



საბჭოთა მეურნეობა აფხაზეთში

არანოგმალოზა გუნებაში „ჯასამეანოვოლსოიუხ“

აფხაზეთში 100 ჰექტარზე დაითესა საადრეო ჯიშის კომბოსტო №-1. ვაზაფხულზე თავები უნდა გაეკეთებინა და მოსაიალიც ადრე უნდა აღებულყო. ამ იმედებით დაკვეთებიც მიიღეს და თულიც წინასწარ ბლომად დააძვრეს დაწესებულებებს. შშვენიერად აყვავილდა ამ თვალწინდენელ სივრცეზე კომბოსტო. მის დამთესელთა გულიც ჰყვავდა სიხარულისაგან.

მაგრამ კომბოსტომ მარად „ყვავილობა“ ირჩია და ნაყოფი არ გამოიღო.


დარჩა მოტყობული დამკვეთელე-ბი.

გაცდა 100 ჰექტარი მიწა ყველას უკვირდით:

—რაზია საქმე.

თორმე საქმე იმაში ყოფილა, რომ კომბოსტოს თავი ქონიათ ყველა მათ, ვინც დასთესა შეუმოწმებელი თესლი.

აი შემთხვევა, როცა კომბოსტო-თავი კომბოსტოს თესავს და ნაყოფი არის არა კომბოსტო, არამედ ყვავილი.



კომბოსტო-თავი:—საკვირველია! კომბოსტო დამითესია, და რაღაც ყვავილები კი ამოხულა!..

ათონის ზეთის-ხილის მეურნეობა

შენობები, სადაც წინად ბერ-მონაზნები ცხოვრობდნენ, და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ეხლა დასასვენებელ სახლებად არის გადაკეთებული და მოწყობილია სანატორიუმში.

ეს კაი საქმეა, მაგრამ რა დააშავეს ზეთისხილის ბაღებმა, რომლებიც წინედ კარგი მოვლილი იყო, ხოლო ეხლა გადაშენების გზაზე დამდგარა.

ხომ არა ჰგონიათ მეურნეობის მეუვეურთ, რომ „ზეთის ხილი რა ჩვენს საქმეა, ეს რელიგიურ-ქრისტიანული ნაყოფიაო“!? 50 ჰექტარზე არის გაშენებული: შიგ ბაღს-ბულახებია.

შეიძლებოდა მცენარეებს შორის ბოსტნეულის გაშენება. ვილაცას აგერ ქვითკირზე წაუწერია:

არა გვწამს ლმერთი, ბერ-მონაზნები და არც მონასტრის კურთხევა-მადლი, მაგრამ ამ ძვირფას ბაღებს და მამულს რად ანადგურებს ბალახი, მატლი?

ეს რომ აღმინისტრაციას წაეკითხა, გულშემატკივრობას გამოიჩინდა და ალბად მეტ ყურადღებას მიაქცევდა მეურნეობას. ეხლა მაინც წაიკითხოს ჩვენს ჟურნალში და მიხედოს მეურნეობას.





წნორის-წყალიდან რამდენიმე ათეული ვერსის მანძილზე „ნოველტრესტს“ მოუწყვია კანაფის საბჭოთა მეურნეობა, არ იკითხავთ რა უთავოობა ამ მეურნეობაში?

შარშანდელი კანაფი ხელუხლებელია არავის არ აუკრეფია. 500 ჰექტარზე სდგას და ფუჭდება კანაფი. დაუყენებიათ ყარაულები, თითქოს კანაფს შეეძლოს გაქცევა თევში მარტო ყარაულობაზე ინარჯება 400 მანეთი.

გამგებობა გეგმის შესრულებისათვის ჭიპზე სკდება, დაკრითი წესით შესდგომია ალანის ვაღმა 1000 ჰექტარი მიწის მოხვნას ისევ კანაფისათვის.

— კარგია გეგმა, მაგრამ ვის რაში უნდა ასეთი ღურაქული საქმიანობა, ასეთი ფიქტურული გეგმა! ჯერ იმას მოუარეთ, რომელიც მომწიფებულა და რომელსაც აკრეფა უნდა!

კარტოფილის ისტორიაც საინტერესოა. მაისში მოუტანიათ დასათესათ ერთი კანაფი კარტოფილი — სათესლე. სანამ ის დაშალა, ხელი არ უხლიათ. როცა დაღა, გადაყრაზე დახარჯულა კარგა მოზრდილი თანხა, თითქმის იმდენივე, რამდენიც თვითონ ღირდა კარტოფილი.

ასეთი თავით შორს ვერ წავა „ლუბტრესტი“.

უიხ.

## ელემენტი

ნეტავ ფეხები დამტროვოდა, თვალები დაფესბოდა და კისრის კინჩხი ძირში ამოვარდნოდა შენს სიმონიკა აბდალაძეს (მართლაც აბდალას), სანამ ამ სასიკვდილედ და უცნაური სახელის გამომგონებელ პარტიაში შევიდოდა.

ნათქვამი რომაა: „ჩათამბა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“, სწორედ ისე დამემართა მე...

ოი, გამჩენი ღმერთო, ისიკე მაცხოვარი და სურებლების „ძლიერი ლომისკარელი“ ამოაგდებს ოსიყმელეს და მისი ნაგრამის ოჯახს ისე, რა ვაც მე იგენმა ამომაგდეს და სუნთლა გამათახსირეს კაკალი კაცი... გვევიხედე, ჩემო ბატონო, და გამიწყრა ღმერთი და ქე დავპატიეე სახლში ერთ უკუღმართ ღღეს ჩემი ბაღანაის ნათვლაზე ოსიყმელეს ენა გარეცხილი ბიჭი გოგიტელე, (ფურმე მაშინ მექცეოდა ოჯახი და ვიღუბებოდი სამუდამოდ ავი რა ვიცოდი).

იმ ოჯახ გადამწვარ და გადაბუგულმა რავაც რომ გადაკრა და გადაკრა ჩემი ალადასტურაის ღვინო და წამოპირბილდა სახეზე, მაშინათვი წამოაგდო ცხრაი ტკეველა ენა და დამიწყო ქადაგი, მიფურჩუნა და მიფურჩუნა ყურებში:—სიმონიკავ, ახლა იმფერი დროა, რომე არავინ პარტიის გარეშე არ უნდა იყოს, შენ ისეთი ბურმარილიანი კაცი ყოფილხარ, რომ შენისთანები ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა და გინდა თუ არა უნდა შემოხვიდე პარტიაშიო. მე უთხარი:—კი შემოვალ, ძამიავ, მარა,

თქვენნი პარტია იმფერი სტროვია, რო მე ჩემისთანებს არ მიღლებენ და რად გინდა ტყულათაი სკანდალი მომიხდინონ მეთქი. ამის შენ ნუ გეშინია, მე ისთე მოგინებებ საქმეს, რომ ერთ ხმად და სუნთლა ტაშის ცემით დაგამტკიცებენო (ოი იმას მიეხერხა მისი ფეხები მუხლის ძირში ისე, რავაც მე იგინის ტაში, მომხვდა ამ ჩემს გამხმარ ყბაში).

მართლაც ქე მიქცია გული იმ წყეულმა, მომიწერა ხელი ანკეტაზე, სხვებსაც მოაწერია მისი ხათრით და ხელად მატყუცევის თავი პარტიაში. თურმე მაშინ დულარეში მიტკუცავს

### დიდი-ჯიხნაში

(ტენხიკუმის შენაზის გოდება)

ბალავერი ჩამიყარეს, შიგ ჩამასხეს სილა, კირი აღარ ვიცი, ვისგან იყო ცხარე ცრემლით დანატირი. ათმა წელმა ისე განვლო, არ მემატა სიგრძე—განი. ფულის კრეფით მოიქანცა ჯიხნაშის საფინგანი. რაც რომ თეონდა კარ-ფანჯრები წვიმისაგან ისიც ლაგება, არ შგონია თუ დახურვა მე ოდესმე მეღირსება. ახლა შენ გთხოვ, შენ ნიანგო, რომ მომაპყრა გულისყური, შენებურად გამიწიო უპატრონოს-სამსახური. და აღმასკომს მოახსენო, რად არ მაქცევს ყურადღებას, ჩემი ფულით ხომ არ ფიქრობს სხვა ვალების განაღდებას?! ჩემი თანხა მე მეყოფა, აღარ მინდა სხვისი. არა. ათი წელი უქმად ვდგავარ, მათ სასირცხვილ ეს არ კმარა?! ბაბაძიძა

თავი და ავი რა ვიცოდი? მომდგენ და ჯერ ხომ ამადებინენ ხელი საცხოვრებელზე და ჩემი ქონება კოლექტივში შემატანიეს, მერე მარბენიეს აღმა-დაღმა, წაღმა-უკუღმა, მამუშავეს და ბოლოს ქე არ ჩამავდეს ვინცხა იგი „ლომის თაველეს“ ბიჭი ყოფილა იმის ხელში? ეხლა მოსდგომია იგი ოჯახდაქცეული (მანც ვინ მისცა იმას ოჯახი) უქექია და უქექია ნაცარქექიასავით და ქე არ გამოუქექია ყველაყაი ჩემი ცოდვები? აუწყევია და დაუდგენია:—სიმონიკე აბდალაძე, გამოიორიცხოს პარტიიდან, როგორც ძველი სპეკულიანტი, სისხლის მწოველი წურბელა, (დედავ, ღმერთო, წურბელას მე სანთლით ვეძებდი ერთ ადგილზე დასაყრელად).

როგორც ძველი ქურდი და ქურდობიდან გამიღირებული, როგორც ლოთი, მექრთამე და ღვლღების მოყვარული, როგორც ბნელი წარსულის მქონე და შემოპარული, და როგორც არაკომუნისტური ელემენტიო. ეს ყველაფერი ხომ სიმართლეა ჩვენში რომ დარჩეს, მარა აი უცნაური სახელი „ელემენტი“ საიდან მომაწეპეს ამ ღვთის პირიდან გარისხულებმა? რომ არასოდეს ელემენტი არ გყოფილვარ... ასე წვეილა ძამიავ ჩემი საქმე და ეხლა ურჩევ ყველას, რომ ვისაც კი აქვს რაიმე ძველი ცოდვები, არ გოუწყერეს ღმერთი და არ შეპყოს ცხვრი ამ სასიკვდილედ პარტიაში, თვარა მის ძველ ცოდვებს იმისთანა გაუგონარ სახეოს მიწკრავენ კი დევ, რომ მის სიცოცხლეში ვერ ამოფხეკოს.


ს. მელი.



# „ღამფრთხალი ფრთოსნები“

„ციხისჯვრის ფერმაში არც ერთი აგრო-  
ნომი არ იცდის.“

ნახ. ღონის.



— კაცო, სად მიფრინავენ ეგ ფრთოსნები?  
— ტფილისისაკენ, ფერმის გამგე ახალაძემ დააფრ-  
თხო. ხედავ — არც ერთი აღარ იცდის აქ ამბობენ კი-  
დევ, რომ ზამთრის მოახლოებაც დიდად მოქმედებს  
თურმე მაგათზე, ხომ იცით ესენი „სპეც-ფრთოსნებია“  
სიტბოს მოყვარულნი და ვერ იტანენ სოფლის ჰაერს  
ზამთრობით.

## ახალდაბა

თავმჯდომარეთ, დარაჯათ, და მდინეთ გახლავთ ერთი კაცი, შალიკოჯან მეცოდები რომ მივიწყდა ძმაო გნაცი დღეში უნდა ჩაატარო (მინიმუმი) ოცი კრება პარტუჯრედი კომკავშირი არც ერთი არ გეხმარება თვეში ათჯერ უნდა ნახო ნეძვი—ზანაგ—კორტანეთი ძმაო ამიღინ ხეტიალით „გაცლილი გაქვს („კრუგომ“) ღმერ-  
თი“  
სექციებო, დაიძინეთ ტკბილი ძილით, იავ ნანა, (ხელმძღვანელებს აგიტყვებათ ვიცი ბოლოს თავის ფხანა). სამკითხველოს, ნულარ იტყვიო, ტოლი არ ყავს რაიონში,

რა ქნას გამგემ: დაეკარგა“ თურმე მუშაობის ხოში. აქ ზოგიერთს მოუხდება წამოუსვა ძმაო კული, კინკლაობენ, ვერ შეთანხმდნენ ააშენონ ერთი კლუბი. მოლოდინში ჩაიფერფლა ნიანგოჯან ხუთი წელი, „პლანს“ ადგენენ, ფულებს სჭამენ, კლუბი რჩება დაუდგმელი.

მუზეუმით გადაიქცა სასადილო აქ წითელი კერძში ყველაფერი გახლავთ ხორცის მეტი ანაზელი; ბუზი, ხოჭო, ტარაიანა და მრავალი „დიდი მხეცი“ მუდამ ხუხვა ქეიფია შეძახილი დაჰკა ეცი!!

ნიანგორი.

# ჩაის გეურნაობა

რ ზ უ რ გ ე თ უ ი

სადგურში დავგვხვდა ჩაის ინსტიტუტის ავტო. ჩაგვექით შიგ. გვინდოდა გამგზავ-  
რება, მაგრამ შოფერი იმდენად გულკეთი-  
ლი აღმოჩნდა, რომ ვიდრე ყველა თავისი  
ნაცნობი: ნუცა, პელო, მარო, ქეთო და  
სხვები მანქანაში არ მოათავსა, არ დიდძალად  
გვილიდა.

მივდივართ ინსტიტუტისაკენ. გზაში  
მგზავრებმა გაგვაფრთხილეს: „თუ აღრე  
არ დაბრუნდით, საღამომდე შოფერები ამ  
მესამე მანქანასაც დაამტვრევენ, რადგან  
დასვენების საუკეთესო საშუალებად მიჩნე-  
ული აქვთ მანქანის დაზიანებას. ჯამ მანქანა-  
ზე ხუთი შოფერი მუშაობს, მაგრამ მათი  
დაუდევრობით ორი ავტო თითქმის მუდამ  
რეზონტშია.“

ეს სიტყვები გონებიდან აღარ მოგვშორე-  
ბია და ანასეულის მალობზე, ჩაის ინსტი-  
ტუტის წითელ დირექტორს ამხ. ზოზიკას-  
თან სტუმრობა ნაადრევად შეგწყვიტეთ.  
დღის სამი საათისთვის იგივე მანქანა უკან,  
ოჭურგეთისაკენ მოგვაქროლებდა.

— ცუდათაა საქმე, ჩაილაპარაკა ერთ-  
მა ამხანაგმა, — ამ შოფერს დაუმტვრეველი  
ვერ გდაურჩებით, სადმე ან თხრილში გა-  
დაგვჩხვავს, ან ლიხაურის დამტვრეულ ხი-  
ლიდან წყალში გადაგვყრის.

— ნუ დარდობთ, ამხანაგებო, — დავგვი-  
მელა შოფერმა! — და ერთ საუკეთესო ბატს  
მანქანით ზედ კისერზე გადაუარა.

მანქანა გაჩერდა. შოფერი სწრაფად ჩა-  
მოხტა, აიღო მოკლული ბატი, ხელში ას-  
წონა, ჩასდო მანქანაში, და გაუდგა გზას.

— ხერხი სჯობია ღონისო, თუ კაცი  
მოიგონებსო — დაიწყო ისევ მან. — ათი  
დღე იქნება, რაც ბატის ზორცი არ მიჰყ-  
ვია. მართლაც და სულ გოჭი და ინდაუ-  
რის ზორცი აღმამანს მოსწყენდება. ზოგ-  
ჯერ ბატსაც უნდა დავსჯერდეთ. გენაცვა-  
ლე თეთრო ბატო. პატრონი შესს დაკარ-  
გვას ალბდ ტურას დაბარლებს. მე კი მა-  
დლიერი დაგრჩები. თუ გამიგო, გადაუხდის  
მუშკოროპის ფასის მიხედვით ხუთ მანეთს,  
თუ არა და — მორჩა, შემრჩება ხახვივით.  
თუ მიჩვილა, სულ ერთია, ერთ წელიწადს  
საქმეს არ გააჩვენენ და შემდეგ კი ალბდ  
მასაც მოსწყენდება და თავს მიმანებებს.

გბრუნდებით ტფილისისაკენ. საღამოა.  
მატარებელში ხალხი ბევრია. კიდევ უფრო  
მეტი — სხვადასხვა ბარგი, კრომელიც ხში-  
რად გზას გვიღობავს.

მატარებელში საშინლად ბნელოდა. მოი-  
სმა ძახილი და კონდუქტორის ძებნა.

— კანდუქტორო, მოდი აფხანკო, აქ  
ლა მულკიდე მაგ სანთელს რაიზა გინდა ამ  
ლულსკომ დამეში გადაამოჯდინო კაცი და  
ვინმის ზელი მუთუცაქუნო, ანდა გამქურ-  
დონ?

— აქ გურიია, აფხანკო, ჯიბიგირი არ  
შეგააწუხებს. სანთელი ხეირია, კაცმა გადა-  
იჩინოს და ისარგებლოს. სამტრედიამში რომ  
ავალთ, რიონჰესი იქნება და ის გაანათებს,  
შემდეგ — ზაჰესი გაგინათლებს სულს და  
ქე ახვალ ტოილისში.

— კანდუქტორო, კანდუქტორო, — ისმოდა  
მანც ძახილი, მაგრამ კანდუქტორი არსად  
სჩანდა. ამბობდნენ: — მატარებელში ვიო-  
ცამ მურულ არაყზე დაპატიეთ და ძილი მო-  
ეკიდეთ.


სუბტროპიკი.



# საბავშვო განათლების კაბინეტი

№ 446  
1971 წ.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრის ცენტრი  
საბავშვო განათლების მიერ დაწესებულ უმაღლეს  
შეფასებას გამო კოლექტივიზაცია სპ.  
რად დამახინჯებულ ხახვს დებულობდა  
გვამას მსოფლიო მაღალდონე ახრწ-  
ლვადის ზოგადი სიღრმეა“



— უმთავრესად ვეკავინ დახვამბს... საკონტროლო ციფრები ო რასი პროცენტის  
გადაზარალებით უმჯარულე. დავთმა იმაზე მითი ფართობი, რაც მიწა არის!